კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო პროგრამა

ბაბილინა ბულისკერია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლი სამხრეთ კავკასიაში - თანამშრომლობის გეოპოლიტიკური ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი - 2020

ანოტაცია

თანამედროვე პერიოდში კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ნატო მიისწრაფვის გააფართოვოს თანამშრომლობის არეალი. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთის ფედერაცია ხელს უშლის. თამამად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული რეგიონი, თავისი გეოპოლიტიკური მახასიათებლებით, მიეკუთვნება გლობალური აქტორების ინტერესთა სფეროს, რომელთა შეხედულებები თანხვედრაში არ არიან ერთმანეთთან, რაც გარკვეულწილად, დაპირისპირებასაც იწვევს. კავკასიის ქვეყნების ერთ-ერთი სახელმწიფო, სომხეთი აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის ფედერაციასთან, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის ნატო-ს ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში. ეს ინტერესები კი შემდეგნაირად ფორმულირდება: სტაბილურობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

ნაშრომში განხილულია გეოპოლიტიკური მიზნები სხვადასხვა აქტორებისა და ასევე საქართველოს ინტერესები და მისწრაფებები.

Annotation

NATO's role in South Caucasus Region – Geopolitical aspects of collaboration

South Caucasus region in the modern period represents an area of NATO. Alliance try to expand area of cooperation, but Russian Federation acts against it. There is plenty of evidence regarding of the multiple-side and various interests expressed by the global actors, which cross over the region and can be a field of possible conflicts.

Today, one of the strongest government of South Caucasus – Armenia is increasing cooperative policy with Russian. Armenia creates additional questions and issues for the interests of alliance. Key interests contain such aspects as, stability, security, etc.

Thesis consists the research of multiple-side interests over South Caucasus region from Global perspective, considering the targets of Georgia.

Babilina Buliskeria

სარჩევი

შესავალი.....5

პირველი თავი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები კავკასიის რეგიონში.....10

1.1 ცივი ომის პერიოდი და ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა.....10

1.2 ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბების პოსტულატები და ალიანსის ძირითადი
პრინციპები…….....15

1.3 ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მისწრაფებები სამხრეთ კავკასიის
რეგიონისადმი…….....23

მეორე თავი. ნატო, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კავკასიის რეგიონში.....29

2.1 კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური რაობა და მისი კლასიფიკაცია.....29

2.2 კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული პროექტები და მათი მნიშვნელობა რეგიონის უსაფრთხოების დაცვაში.....38

2.3 სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მომენტები.....41

2.4 თანამშრომლობის შემაფერხებელი გარემოებები კავკასიის რეგიონის დაპირისპირებული სახელმწიფოთა გათვალისწინებით.....55

დასკვნა.....63

გამოყენებული ლიტერატურა.....65

შესავალი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორისაა კავკასიის ძალზედ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ზეგავლენას ახდენს კავკასიის ქვეყნებისა და ნატოს ურთიერთობაზე, ესაა ენერგეტიკული უსაფრთხოება. რეგიონი მდებარეობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის სატრანზიტო გზაჯვარედინზე, აზერბაიჯანსა და კასპიის ზღვაში კონცენტრირებულია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რეზერვები.

თანამედროვე გლობალიზაციის გათვალისწინებით რეგიონს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით კი კავკასია უნიკალური მდებარეობით გამოირჩევა, რომელიც არის კიდევაც საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა აქტორთა დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი საგანი.

თემის აქტუალობა: თანამედროვე დროში მსოფლიოში არსებული გამოწვევებისა და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, დღითი დღე იზრდება ევროატლანტიკური ალიანსის როლი და ფუნქცია მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში. ეს ორგანიზაცია ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობის თვალსაზრისით.

ნატო-ს პარტნიორული პოლიტიკის თავდაპირველი მიზანი იყო ქვეყნებს შორის ბარიერის რღვევა და უსაფრთხოების მიღწევა დიალოგისა და თანამშრომლობის გზით. დღეს მიზნები გაცილებით უფრო ამბიციურია, რადგან პარტნიორი ქვეყნები ნატოს-თან ერთად ცდილობენ ებრძოლონ XXI საუკუნის ისეთ

პრობლემებს, როგორიცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და არშემდგარი სახელმწიფოები.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია გარკვეული სახის მიზნები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მაგრამ ამ მისწრაფებებს ხელს უშლის რუსეთის ფედერაცია. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური კურსი სხვადასხვა მიმართულებით მიემართება. ასე მაგალითად, სომხეთის სახელმწიფოს ვექტორი პრორუსულია და მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის ფედერაციის პოლიტიკაზე. საქართველოს შემთხვევაში კი სრულიად საპირისპირო მოვლენებთან გვაქვს საქმე.

ამდენად, თემის აქტუალობას განაპირობებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის ფედერაციის მისწრაფებები ისეთ რეგიონში, როგორიცაა სამხრეთ კავკასია, ე.წ. დამაკავშირებელი ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

საკვლევი კითხვები და თემის ჰიპოთეზა:

I. რა ინტერესები გააჩნია ნატო-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონში?

II. რა როლი აკისრია რუსეთს სამხრეთ კავკასიაში?

III. ნატო-ს თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და რუსეთის ფაქტორი.

IV. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები.

ჰიპოთეზა: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ცდილობს გააფართოვოს თანამშრომლობის არეალი, ნატო-ს ამ მისწრაფებაში რუსეთის ფედერაცია თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების

ნატო-სთან თანამშრომლობა სხვადასხვა რაკურსით არის წარმოდგენილი, ხოლო მათი ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივები რეგიონში საფრთხეებსა და გამოწვევებს აჩენს.

თემის მიზნები და ამოცანები:

თემის მიზნები და ამოცანები ფორმულირდება შემდეგი სახით:

- ისტორიული რეალობისა და აწმყოს შესწავლა და ანალიზი სხვადასხვა გარემოებებისა და ფაქტორების გათვალისწინებით.
- ვითარებათა ობიექტური შეფასება მსოფლიო ახალი წესრიგის ფონზე.
- ევროატლანტიკური ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.
- კავკასიის რეგიონის ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოებისა და გლობალური გამოწვევების ასახვა.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის საგანი: ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკური მომენტები და ასპექტები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

კვლევის ობიექტი: ნატო-სა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობების პერსპექტივები.

კვლევის მეთოდები:

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

შემთხვევის გარჩევა Case study- დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში;

ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაეფუძვნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს;

თვისობრივი კვლევის მეთოდები:

- მონაცემთა ანალიზი;
- ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი. რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომის გამოცემაში ესსეის სახით;
- ისტორიულ-აღწერილობითი

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:

- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი.

თემის დამუშავებისას მეთოდოლოგიურ საფუძველს ის საერთაშორისო თეორიები წარმოადგენენ, რომლებიც გამოიყენება უსაფრთხოების კვლევებში. ჩემი აზრით, სომხეთ-ნატოს და პარალელურად ნატო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში ძალზე ადეკვატური იქნება თუ გამოვიყენებ, უპირველეს ყოვლისა, რეალიზმის სკოლის თეორიას. აქვე მნიშვნელოვანია, განვიხილოთ „ურთიერთდაოკიდებულების თეორია“, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევებს ეხება. ეს თეორია გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო არ არის არც უნიტარული (ერთგვაროვანი) ერთეული და არც ძირითადი სუბიექტი თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა მოძრაობათა და პიროვნებათა როლი; გარდა ამისა, ძალა და, კერძოდ, სამხედრო ძლიერება აღარ წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ ფაქტორსდა იგი თანადთან იცვლება ეკონომიკური ძლიერების ფაქტორით.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებშიც მიმოხილულია ნატოს ინტერესები და მიზნები მისი შექმნის პერიოდიდან მოყოლებული. ასევე სტატიები, რომელიც აღნიშნულ თემატიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

- შავი ზღვის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები ვახტანგ მაისაია, თბილისი, 2003 - არსებული ნაშრომი ეხება შავი ზღვის აუზის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ანალიზს საერთაშორისო თეორიულ საკითხებთან ერთად. როგორც ცნობილია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ასევე არიან შავი ზღვის რეგიონის წევრებიც, შესაბამისად კავკასიის ქვეყნებზეც მოქმედებს ის სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცივი ომის პერიოდში და მის შემდეგ.

- ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოგლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი ნიკა ჩიტაძე, თბილისი, 2008 - ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლითაც დაინტერესებულია ალიანსი კავკასიის რეგიონში. წიგნში განხილულია, ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ენერგოუსაფრთხოება, ტერორიზმი, პოსტსაბჭოთა სივრცე და სხვა.

- 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია, თბილისი 2017 - ამ წიგნში საუბარია იმაზე, რომ პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში კარდინალურად შეიცვალა არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკა, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების ვითარება. ამ მიზეზის გამო, ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც „ცივი ომის“ დროს ჩამოყალიბდნენ (მაგალითად - ნატო, გაერო და სხვა) რთული გეოსტრატეგიული პრობლემების წინაშე დადგნენ.

პირველი თავი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები კავკასიის რეგიონში

1.1 ცივი ომის პერიოდი და ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა ე.წ. "**ცივი ომის**" პერიოდში. მიუხედავად სახელწოდებისა, ცივი ომი, თავისი შინაარსით, შეიარაღებულ დაპირისპირებას, ე.წ. "ცხელ, სისხლისმღვრელ ომს" არ გამორიცხავს! ის გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის გლობალურ გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ დაპირისპირებას, რაც მეოცე საუკუნის 1940-იანი წლებიდან იწყება და 1990-იანი წლებამდე გრძელდებოდა. ამ დროს მსოფლიოში ორპოლუსიანი მმართველობა იყო! რაც ორი სახელმწიფოს დომინანტ პოზიციებს გულისხმობდა. ამ ორი ქვეყნიდან ერთის "სიკვდილიანობა" ავტომატურად იწვევდა მსოფლიო სისტემის შეცვლას და პარალელურად "ცივი ომის" ეპოქის დასასრულს და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას. საინტერესოდ ასახავს **ფრენსის ფუკუიამას** გახმაურებული ნაშრომი "ისტორიის დასასრული" იმ დროინდელ რეალობას. ავტორი დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს თვლის საბოლოო გამარჯვებულად, იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ამერიკული სტილის ლიბერალური დემოკრატია გვთავაზობს სიცოცხლისუნარიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას. ჩემი, პირადი აზრით, კი ცივი ომის პერიოდი ისტორიის ფურცლებზე ხასიათდება შემდგნაირად "ბოროტისა" და "კეთილის" ; "დემოკრატიული ქვეყნების" და "ავტორიტარული სახელმწიფოების" ; "წითელისა" და "თეთრის" ბრძოლასთან პირველობისთვის, გამარჯვებისთვის! ფინალი?

"კეთილმა სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია". დასავლეთმა დაამარცხა უზარმაზარი საბჭოთა კავშირი.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945წ.წ) შემდგომ, როდესაც საბოლოოდ იქნა დამარცხებული გერმანული ფაშიზმი, მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების წინაშე შეიქმნა ახალი - **კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხე.** საფრთხე რეალური და საშიში იყო, რომლის განადგურებაც დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად რთული ხდებოდა. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტის შემდგომ (ვგულისხმობ მეორე მსოფლიო ომს), საჭირო გახდა მსოფლიო საზოგადოების "შოკიდან გამოყვანა" და უფრო ფრთხილი, წინგადადგმული ნაბიჯების გამოყენება. მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირმა შეძლო მსოფლიოში არსებული ძლიერი ქვეყნების "გაწითლება" და მისი იდეოლოგია გაიზარდა, დასავლეთმა სამყარომ, უფრო კონკრეტულად კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, **უინსტონ ჩერჩილის მოხსენება 1946 წლის 5 მარტს ფულტონში** (აშშ, მისურის შტატი), სადაც ბრიტანელმა პოლიტიკოსმა ყურადღება გაამახვილა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის "რკინის ფარდის" არსებობის შესახებ, და ამ მიზნით ჩერჩილმა მოუწოდა შექმნილიყო ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო კავშირი "აღმოსავლეთის კომუნიზმთან" ბრძოლის მიზნით. ამ სიტყვებით, კი ფაქტობრივად, ღიად გაცხადა ის მიზნები, რაც დემოკრატიულ, ლიბერალურ სახელმწიფოებს გააჩნდათ.

მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც აშშ, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები გადმწყვეტი ზომების მიღებაზე გადავიდნენ. კერძოდ, აშშ-ში ამერიკელი მეცნიერისა და დიპლომატის **ჯორჯ ქენანის** მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. **"შეკავების" დოქტრინა,** რომლის მთავარი მიზანი მდგომარეობდა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებში არსებული

პროგრესული ძალების დაფინანსებაში, აგრეთვე დემოკრატიული რეჟიმების აქტიურ მხარდაჭერაში მთელი მსოფლიო მასშტაბით.

"შეკავების" დოქტრინა უფრო კონცენტრირებული სახით განსახიერებულ იქნა "ტრუმენის დოქტრინასა" და "მარშალის გეგმაში".

"ტრუმენის დოქტრინა" შემუშავებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჰარი ტრუმენის მიერ 1947 წლის 12 მარტს. დოქტრინა გულისხმობდა იმას, რომ ამერიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო 400 მლნ აშშ დოლარი საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობების მხარდაჭერის მიზნით. რითია მნიშვნელოვანი ეს დოკუმენტი? ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხი შემდეგნაირად ფორმულირდება: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოკავშირეები შეიძინა, რითაც შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობა წინ აღდგომოდა სსრკ-ის მოსალოდნელ ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

რაც შეეხება **"მარშალის გეგმას"** ის იმავე წლის (1947 წელი) 5 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ მარშალის მიერ იქნა წარმოდგენილი, როგორც ევროპის ეკონომიკური აღორძინების გეგმა. სულ "მარშალის გეგმის" ფარგლებში დასავლეთ ევროპის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა 1948 წლის აპრილიდან 1952 წლის თებერვლის ჩათვლით, დაახლობით 17 მილიარდი დოლარის მოცულობის დახმარება მიიღეს. აღსანიშნავია, რომ 1948-1952 წლები, ევროპის ისტორიაში კონტინენტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე სწრაფი პერიოდი გახლდათ, რაც ცხადყოფს "მარშალის გეგმის" ეფექტიანობას. დასავლეთ ევროპაში საშუალოდ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 35%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორში არსებულმა მაჩვენებლებმა ომამდელ მაჩვენებელს გადააჭარბა.

ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სხვადასხვა საშუალებებით

განხორციელდა ზეწოლა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე, რომელიც გლობალიზაციისკენ არ იყო მიმართული, ასევე ეს წნეხი მოიცავდა ეკონომიკის გარდა სხვა სფეროებსაც. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ცდილობდა გამკლავებოდა ამ ზეწოლას. პარალელურად კი ძლიერდებოდა მეორე დომინანტი ქვეყნის (მხედველობაში მაქვს ამერიკის შეერთებული შტატები) პოზიციები.

1949 წლის 4 აპრილს, თორმეტმა სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის პრინციპების საფუძველზე ქ. ვაშინგტონში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის - **ნატო_ს შექმნის შესახებ.**

მასში შედიოდა ევრაფრაზიის[1] 10 და ამერიკის კონტინენტის 2 სახელმწიფო.

მინდა შემოგთავაზოთ ევრაფრაზიის დეფინიცია - ეს მოდელი ყველაზე მეტად შეესაბამება ტერმინ "კონტინენტის" განსაზღვრებას, ვინაიდან ევრაზია და აფრიკა ერთმანეთისგან გამოყოფილია სუეცის არხით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და ამავე დროს არც ზღვას წარმოადგენს და არც ოკეანეს. ანალოგიურად ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა გაყოფილია პანამის არხით. ანუ სულ დარჩა 4კონტინენტი - ევრაფრაზია, ამერიკა, ანტარქტიდა და ავსტრალია.

ეს სახელმწიფოები შემდეგია:

1. ამერიკის შეერთებულმა შტატები
2. ბელიგია

[1] კონტინენტების რიცხვი, გვ.1.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98 (ბოლო ნახვა: 21:58, 5 მარტი 2019).

3. გაერთიანებული სამეფო
4. დანია
5. ისლანდია
6. იტალია
7. კანადა
8. ლუქსემბურგი
9. ნიდერლანდები
10. ნორვეგია
11. პორტუგალია
12. საფრანგეთი.

1.2 ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბების პოსტულატები და ალიანსის ძირითადი პრინციპები

ნატო-ს ორგანიზაციის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1949 წლის 24 აგვისტოს, ხოლო იმავე წლის 17 სექტემბერს ვაშინგტონში ჩატარდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პირველი სესია. ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საქმიანობა თავიდანვე შემდეგ **პრინციპებს** ეფუძნებოდა:

- ნატო იცავს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, გაეროს წესდების შესაბამისად.
- ნატო დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობის ღირებულებებით გაერთიანებული სახელმწიფოების ალიანსია და შექმნილია ამ ღირებულებათა დასაცავად.
- ნატო მოქმედებს კოლექტიური თავდაცვის პრინციპით, ნატო-ს წესდების მე-5 მუხლის საფუძველზე ("ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის" პრინციპის მსგავსად, რაც გულისხმობს იმას, რომ ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ყველა მოკავშირეზე). მოკავშირეთა უსაფრთხოების გარანტია უზრუნველყოფილია ალიანსის სტრატეგიული ბირთვული ძალებით, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და საფრანგეთის დამოუკიდებელი ბირთვული ძალებით.

- ნატო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომლის შიგნით წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ალიანსი ყველა გადაწყვეტილებას კონსესუსისა და მოკავშირე ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად იღებს.

- ანტიკრიზისული სიტუაციის ობიექტურად მართვაც შედის ამ ორგანიზაციის ფუნქცია-მოვალეობებში.

- ალიანსის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პირობა ტრანსატლანტიკური კავშირია, რაც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოების ერთიანობას ნიშნავს.

- უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე, სადაც ნატო ადასტურებს, რომ ამ თანამშრომლობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ალიანსის ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

- ალიანსი არ არის დახურული კლუბი. იგი ღიაა ახალი წევრებისთვის, თუ ისინი იზიარებენ ალიანსის ფუძემდებლურ ღირებულებებს და მზად არიან თავისი წვლილის შესატანად ალიანის უსაფრთხოებაში. ამგვარ პოლიტიკას "ღია კარის პოლიტიკა" ეწოდება და იგი ვაშინგტონის ხელშეკრულების მეათე მუხლშია ასახული.

დოკუმენტური სახით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნები, როგორც ზემოთ ჩამოვთვალე ისე იყო გაწერილი, მაგრამ თვითონ მიზეზი და აუცილებლობა ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა ერთი და კონკრეტულია და ის შემდეგნაირად ფორმულირდება: საბჭოთა უზარმაზარი იმპერიის დამარცხება, მისი იდეოლოგიის გაუვრცელებლობა და სუსტი სახელმწიფოების ხელშეწყობა სუვერენიტეტისკენ მიმავალ გზაზე. ეს ყოველივე კი, რასაკვირველია სამხედრო ძალისა და დიდი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბებამდე დაახლოებით 4 წლით ადრე, ცივი ომის პერიოდში შეიქმნა ასევე ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია **გაერო** (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია). მისი შექმნის თარიღია 1945 წლის 26 ივნისი, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოეწერა მის წესდებას. ნატოსა და გაეროს შორის განსხვავებულობა უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება (თუნდაც, წევრების სახით), მაგრამ ორივე ორგანიზაციას საერთო ღირებულება გააჩნიათ. ეს არის საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფა. მიუხედავად, ასეთი ორგანიზაციების შექმნისა, სხვადასხვა პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებისა "ცივი ომი" მაინც წარმოგვიდგებოდა "აქცია-რეაქციის" სახით, როდესაც ერთი მხარე დაუყონებლივ ახდენს საპასუხო რეაქციას მეორე მხარის მოქმედებაზე. ამ ყოველივეს "დაეწიე და გაასწარი" პრინციპი შეესატყვისება! იმ ეტაპზე, როდესაც შეიქმნა პირველი ბირთვული იარაღი (საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც), ადამიანი მთვარეზე გაფრინდა, ტექნოლოგიურმა წინსვლამ, შეიძლება ითქვას, შესაძლებლობათა მაქსიმუმს მიაღწია, სწორედ მაშინ საბჭოთა კავშირის ეკონომიკამ ამდენ სიახლეს ფეხი ვერ აუწყო და ჩამოიშალა. და მაინც, ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმის დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან საბჭოთა კავშირის დაშლა, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მომასწავებელი გახდა. 1991 წლის დამდეგისთვის, როდესაც საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა და კომუნისტური რეჟიმიც მთელ ევროპაში დაემხო, დაიწყო ცივი ომის შეწყვეტის პროცესი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ცივი ომი დასრულდა, საბჭოთა კავშირის განადგურებით, მაგრამ პარალელურად არსებობა არ შეუწყვეტია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. "მტრის ხატის" არსებობით, მეტოქე წარმოაჩენს თავის შესაძლებლობების მაქსიმუმს, მაგრამ როდესაც მეტოქე დამარცხებულია, შინაგანად მარცხდება მეორე მხარეც, მანამ სანამ ახალი "მტრის ხატი" არ

შეიქმნება. ამგვარად, ნატოს ძლიერების შენარჩუნება განაპირობა იმ დროის გამოწვევებმა, რაც არსებობდა მსოფლიო პოლიტიკაში. ნატო-ს წინაშე არსებულ **რისკებად** შეიძლება დავასახელოთ ეთნიკური და რელიგიური ქიშპი, ტერიტორიული დავები, ადამიანის უფლებების შელახვა, სახელმწიფოთა რღვევა, ენერგოუსაფრთხოება, ტერორიზმი, მათ შორის კიბერტერორიზმი და სხვა ფაქტორები, რომელსაც შეეძლო გამოეწვია როგორც ლოკალური, ასევე რეგიონალური თუ საერთაშორისო ხასიათის არასტაბილურობა. პრობლემათა მრავალფეროვნების გამო ისინი ხშირად არაპროგნოზირებადია. შესაბამისად, უწყებას უწევს მათთან გამკლავების სათანადო გზების ძიება. ალიანსს უხდება ცვალებად გარემოში მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ ნატო-მ ამ ყოველივეს კარგად გაართვა თავი, ეს ყოველივე შეიძლება დადებითად შეფასდეს, მაგრამ მაინც არსებობს გარკვეული სახის რისკ-ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება მომავალში სერიოზული და მწვავე კრიზისები გამოიწვიოს. ალიანსი, რასაკვირველია, მომხრეა სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, არ არსებობს მსოფლიო ბატონი, რომლის მოთხოვნებსაც ქვეყნები შეასრულებენ, ამიტომ ძალზე რთულია სისტემის დაბალანსება საკუთარი სურვილისამებრ. ნატო უნდა შეეცადოს მოერგოს იმ რეალობას, რომელშიც დროთა განმავლობაში აღმოჩნდება ხოლმე.

ერთ-ერთი მეცნიერის ვოლანდერის თქმით, ნატო შემორჩა რადგან მან განავითარა ისეთი ზოგადი საშუალებები ცივი ომის პერიოდში, როგორიცაა:

- გამჭვირვალობა წევრებს შორის;
- სამხედრო ძალების სამოქალაქო კონტროლი;
- კონსულტაციების პროცედურები და პრაქტიკა;
- ინტეგრირებული სარდლობის სტრუქტურა;

- წევრ-სახელმწიფოთა შესაბამისობა;
- საერთო ლოგისტიკა;
- საჰაერო თავდაცვა;
- საერთო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს წევრმა ქვეყნებმა ისევ ნატოს მიმართეს ახალი უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად. ნატოს, რომელსაც უკვე კარგად ჰქონდა ჩამოყალიბებული ზოგადი საშუალებები ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად იმ საშუალებებს უნდა დაყრდნობოდა და ახალი მიზნებისთვის გამოეყენებინა ისინი. მეორეს მხრივ, კი ნატოს კონკრეტულმა საშუალებებმა დიდი ტრანსფორმაცია განიცადეს. შეიქმნა ისეთი ახალი ინსტრუმენტები, როგორიცაა "პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამა; ჩამოყალიბდა პარტნიორობის კოორდინაციის განყოფილება და ჩრდილო ატლანტიკური საბჭო შემდგომში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოდ გადაიქცა. ვოლანდერი ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი შეიქმნა ახალი საფრთხეების საპასუხოდ. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან, მეცნიერის ეს მოსაზრებები კიდევ უფრო გამყარდა იმით რომ ნატომ შექმნა ბევრი ახალი ინსტიტუტები ახალი საფრთხეების დასაძლევად, მაგრამ რასაკვირველია, ასეთი ადაპტაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ნატოს კარგად ჩამოყალიბებული, თავდაცვის წარმოების სახელმწიფოთაშორისო სისტემა, რომელსაც ვოლანდერი უწოდებს **ზოგად საშუალებებს (general assets).**

როგორც უკვე აღვნიშნე, ნატო შეიქმნა საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად, მაგრამ ამისთვის ნატოს სხვა ქვეყნების დახმარება სჭირდებოდა. ამ ორგანიზაციამ დაიწყო ფიქრი გაფართოებაზე, მსოფლიო დემოკრატიული სახელმწიფოების თავის გარშემო შემოკრებაზე. 1949 წელს ნატოს ბრიუსელის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მეათე მუხლის შესაბამისად ღიაა

სხვა ევროპული სახელმწიფოებისათვის, კერძოდ კი იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ძალუძთ განავითარონ ვაშინგტონის ხელშეკრულების მთავარი პრინციპები და შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ახალი წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც მოიწვევენ ალიანსში გასაერთიანებლად, მათთვის გაწერილი არ არის კრიტერიუმის განსაზღვრული ჩამონათვალი, მაგრამ ეს ყოველივე ხელს სრულებითაც არ უშლიდა ორგანიზაციას მიეღო რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული ქვეყანა, როგორც სრუუფლებიან წევრებად, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებად.

დღეის მონაცემებით კი, ალიანსის წევრია სულ რაღაც

დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული **30სახელმწიფო.** ქვემოთ შემოგთავაზებთ (12 დამფუძნებელი ქვეყნის გარდა) ახალი წევრი ქვეყნების ჩამონათვალს:

1. ალბანეთი
2. ბულგარეთი
3. გერმანია
4. ესპანეთი
5. ესტონეთი
6. თურქეთი
7. ლატვია
8. ლიეტუვა
9. მონტენეგრო

10. პოლონეთი

11. რუმინეთი

12. საბერძნეთი

13. სლოვაკეთი

14. სლოვენია

15. უნგრეთი

16. ჩეხეთი

17. ჩრდილოეთ მაკედონია

18. ხორვატია.

რაც შეეხება ნატოს **პარტნიორობის ფორმატებს**, დღეისთვის ეს ყოველივე შემდეგი სახით ფორმულირდება:

- **მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამა** - მონაწილეები: ევროპის ყველა სახელმწიფო და ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელიც ალიანსის წევრი არ არის.
- **ხმელთაშუა ზღვის დიალოგი** - მონაწილეები: ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი.
- **სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა** - მონაწილეები: ბაჰრეინი, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.
- **გლობალური პარტნიორები**: ავსტრალია, ავღანეთი, ახალი ზელანდია, ერაყი, იაპონია, კორეის რესპუბლიკა, მონღოლეთი, პაკისტანი.
- სხვა **საერთაშორისო ორგანიზაციები**: გაერო, ევროკავშირი, ეუთო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაფართოებული ნატო, ევროატლანტიკური საბჭო, სხავადასხვა პროგრამებითა და ფორუმებით ქმნიან ფართო, ყოვლისმომცველი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შემადგენელ ნაწილებს. ასევე მყარ საფუძველს უყრიან ევროპას ძირძველი მიზნების რეალიზაციის თვალსაზრისით.

1.3 ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მისწრაფებები სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი.

რაც შეეხება ნატოს მიზნებს **სამხრეთ კავკასიაში** და ზოგადად გეოპოლიტიკურ ვითარებას ამ რეგიონში ის შემდეგნაირად ხასიათდება: კავკასიის რეგიონს გააჩნია ძალზედ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც საუკუნეების მანძილზე მომხიბვლელს ხდიდა მას სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის თუ იმპერიებისათვის, რეგიონისა თუ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნებისათვის. ამავე დროს, როგორც ცნობილია სამხრეთ კავკასია დანაწევრებულია მასში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური ან სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამო. განსხვავდება სამივე ქვეყნის (**საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი**) საგარეო-პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები. მათ აქვთ სტრატეგიული კავშირები განსხვავებულ რეგიონალურ და გლობალურ ძალებთან (ნატო, აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ა.შ), რომელთა პოლიტიკა ამ რეგიონში დამყარებულია ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებზე. კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი სახელმწიფო აზერბაიჯანი უფრო პროდასავლური ორიენტაციისა, ვიდრე სომხეთი, რაც შეეხება საქართველოს ეს ქვეყანა ყველაზე მეტად ისწრაფვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისაკენ. ამ რეგიონის მეზობლად მყოფი თურქეთის სახელმწიფო კი, როგორც ვიცით, არის ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ნატო-ს მისწრაფებას გააღრმავოს დიალოგი და გაამყაროს უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში არის ის, რომ უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები (ისეთი როგორიცაა ტერორიზმი, მასობრივი

განადგურების იარაღის გავრცელება, ასევე არშემდგარი სახელმწიფოები და რეგიონული კონფლიქტები) არ ცნობს საზღვრებს, შეიძლება დედამიწის ნებისმიერ წერტილში განხორციელდეს, და ამ ყველაფრის გადასაწყვეტად საჭიროა შეთანხმებული საერთაშორისო თანამშრომლობა. ამდენად, ნატო-ს პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში დგანან იმავე საფრთხეების წინაშე, როგორშიც მოკავშირეები იმყოფებიან. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა არანაკლები როლი უნდა შეასრულონ ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გზაზე.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ზეგავლენას ახდენს კავკასიის ქვეყნებისა და ნატოს ურთიერთობაზე, ესაა ენერგეტიკული უსაფრთხოება. რეგიონი მდებარეობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის სატრანზიტო გზაჯვარედინზე, აზერბაიჯანსა და კასპიის ზღვაში კონცენტრირებულია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რეზერვები. რეგიონში უსაფრთხოების ხელშეწყობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორც ენერგო-იმპორტიორი ქვეყნებისთვის, რომლებიც ენერგეტიკული წყაროებისა და მიწოდების გამრავალფეროვნებისთვის იღვწიან, მეორეს მხრივ, კი ეს ყოველივე საინტერესოა ენერგო-ექსპორტიორი და სატრანზიტო სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ უზრუნველყონ საკუთარი მრეწველობის და მილსადენის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება.

როგორც უკვე აღვნიშნე დიდი სახელმწიფოები კავკასიის რეგიონით ინტერესდებიან რეგიონში არსებული **ნავთობისა და გაზის რესურსების გამო,** მათ შორის მათ მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლი კუთხით. როგორც სატრანზიტო რეგიონი, კავკასია ესაზღვრება კასპიის რეგიონს, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ირანს. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნებში გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია. კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წარმოჩენა სწორედ ამ გეოპოლიტიკურ და გეოგრაფიულ

ჭრილშია შესაძლებელი. სწორედ ამ მიზეზთა გამოა, ეს ქვეყნები მომხიბვლელი მსოფლიოს დანარჩენი ნაწილისთვის. მას შემდეგ რაც, დასრულდა "ცივი ომი" და დაიშალა საბჭოთა კავშირი, შეიქმნა ახალი **მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემა**! რაც გულისხმობს იმას, რომ თუკი ადრე პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა მხოლოდ ორი სახელმწიფო, ამჯერად მათი რაოდენობა გაზრდილია. სწორედ ამ "ამინდის შემქმნელი" სახელმწიფოების ინტერესის სფეროში ექცევა კავკასიის რეგიონიც.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფოთა აღმასვლა და დაცემა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მუდმივი დრამაა. ტრადიციული დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც არსებული საერთაშორისო სისტემა, წესები და ინსტიტუტები შექმნეს და მართავდნენ მას, უპირისპირდებიან აღმავლობის გზაზე მყოფ სახელმწიფოებს. ძლიერ, მაგრამ დაღმავალ ქვეყნებს, რომლებსაც გლობალურ სისტემაზე კონტროლის შენარჩუნება უჭირთ, ცვლილებების მოსურნე სახელმწიფოებთან უწევთ გამკლავება. ეს მასშტაბური ისტორიული დრამა საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ გათამაშებულა და კონფლიქტები და ომებიც გამოუწვევია. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აღნიშნული ტენდენციაც არ იქნება გამონაკლისი და თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ის დაპირისპირებას და კონფლიქტებს გამოიწვევს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. სამყაროს შექმნის დღიდან მოყოლებული როგორც ბუნებაში (ფლორა და ფაუნას ვგულისხმობ), ასევე სახელმწიფოთაშორისო დონეზეც არსებობს დაპირისპირება ძლიერსა და სუსტს შორის. რა თქმა უნდა ეს ყოველივე ბუნებაში სხვა სახითა და მასშტაბით ვლინდება, ვიდრე იმ უზარმაზარი სისტემის ფარგლებში, რასაც სახელმწიფოს ვეძახით. მაგრამ მაინც ეს პრობლემა იქაც არსებობს და აქაც. ეს პრობლემა იყო ადრეც, ეხლაც არის და დიდი ალბათობით იქნება მომავალშიც.

სუსტში მე უფრო ვგულისხმობ პატარა სახელმწიფოს, რომელიც ძირითადად თვითგადარჩენისთვის იბრძვის. დღესდღეობით უფრო და უფრო მეტი მეცნიერი უთმობს ყურადღებას ისეთ პატარა ქვეყნების შესწავლას, რომლებიც ეკონომიკურად უაღრესად განვითარებულნი არიან, ასევე ეს ქვეყნები საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წევრებიცაა, მაგრამ ამავდროულად ითვლებიან **"პატარა" ქვეყნებად.** საინტერესო იმის დადგენა თუ როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებას ამ ქვეყნებმა, და საერთოდ რა განაპირობებს "პატარა" ქვეყნის დეფინიციას. ტერიტორია? იქნებ მოსახლეობის რაოდენობა? ყველაფერი ფარდობითია! შედარებითი. ასე მაგალითად, "ბელგია შეიძლება პატარაა საფრანგეთთან მიმართებაში, მაგრამ ლუქსემბურგი პატარა ქვეყანაა ბელგიასთან შედარებით და საფრანგეთი პატარა ქვეყანაა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში. ჩემი აზრით, კი თუ საერთაშორისო სისტემის პრიზმიდან დავაკვირდებით პატარაა ის ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში საერთოდ არ არის ჩართული (decission-making process). მართალია თითზე ჩამოსათვლელია ის სახელმწიფოები რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ, მაგრამ ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები მრავალპოლუსიანობაც სწორედ ამას გულისხმობს და მეტს არაფერს. სულ რამდენიმეა ის ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მეტ ნაკლებად მართავს მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს. კავკასიის რეგიონი, დიდი ალბათობით, ვერ შეძლებს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა რიგებში შესვლას, მაგრამ ამ სახელმწიფოებს გააჩნიათ საკმარისი პოტენციალი იმისთვის, რომ ჩამოყალიბდნენ ძლიერ, დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად. ისეთებად, რომელთაც ყველანაირი კონფლიქტი აქვთ მოგვარებული. ისეთებად, რომელთაც ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან! ისეთებად, რომელთაც დემოკრატიის მაღალი დონე გააჩნიათ! ვუსურვებდი, რომ საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ასეთი მდგომარეობა იყო. დღეის მონაცემებით კი კავკასიის

რეგიონს არ ახასიათებს სტაბილურობა. აქ კარგად იკვეთება ე.წ. "**უსაფრთხოების დილემის**" მახასიათებლები, რაც გულისხმობს შემდეგს: ერთი ქვეყნის თავდაცვის იარაღის მომარაგება, მეორე ქვეყნისთვის საფრთხის, თავდასხმის იარაღად აღიქმება. რეგიონში არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე იზრდება კავკასიის ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტები. კონფლიქტებს რაც შეეხება ისინი, შეიძლება ითქვას, რომ მრავლადაა, მაგალითად, ყველაზე ცნობილია, აფხაზეთის კონფლიქტი, ასევე ყარაბაღის საკითხი და ასე შემდეგ, რომლებიც "**გაყინულ კონფლიქტებად**"[2] მიიჩნევა, მრავალი მცდელობისა და ზომების მიუხედავად, არაფერი იცვლება. რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტს, ეს კონფლიქტი კავკასიის რეგიონის ორ სახელმწიფოს შორის (აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის) შეიარაღებული დაპირისპირების ფონზე დაიწყო. "გაყინული" კონფლიქტის ეტაპი ესადაგება სტაგნაციის ეტაპს, რასაც ცხადყოფს, ის ფაქტი რომ მეტ-ნაკლებად ინტენსიურმა მედიაციამ და/ან ტრანსფორმაციისკენ მიმართულმა ზომებმა ვერ შექმნა რაიმე თვალსაჩინო პერსპექტივა სამომავლოდ. ვთვლი, რომ საჭიროა განვიხილო კავკასიის ამ ორი სახელმწიფოს მდგომარეობა და ასევე ვისაუბრო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლზე ამ პრობლემის მოგვარების გზაზე. როგორც უკვე, ვახსენე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ჩართულია გაჭიანურებულ კონფლიქტებში. მაგალითად, მთიანი ყარაბაღი, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს აზერბაიჯანის ნაწილს და ამავე დროს მწვავე დავის საგანს სომხეთსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებს შორის. ასევე

[2] „გაყინული კონფლიქტი“ . გვ.1

http://iccn.ge/index.php?article_id=142&clang=0

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს გადაუჭრელი, ჯერ კიდევ მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტია. ნატო პირდაპირი გზით არ ერევა კონფლიქტის გადაწყვეტაში, თუმცა ხელს უწყობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს (თუნდაც ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციებს , ასევე გაეროს, რომელსაც მინიჭებული აქვს შუამავლის როლის შესაბამისი მანდატი), რათა შეძლებისდაგვარად მოაგვარონ ზემოთაღნიშნული კონფლიქტები. კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა ნატოს უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, ხოლო ალიანსის მიერ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა განპირობებულია კონფლიქტის მოგვარებისკენ მათი მისწრაფებებით.

კავკასია, ასევე წარმოადგენს ისეთ რეგიონს, რომელიც განიცდის მიმდინარე მკვეთრ ცვლილებებს, მიზეზი ამისა კი არის ის რომ რეგიონი მოიცავს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებს. ხსენებული გარდამავალი პერიოდი ყოველთვის რთულია და დიდი ალბათობით ის წარმოადგენს არასტაბილურობის კერასაც. თუმცა ნატო პარტნიორობის ჩარჩოებში აღნიშნული პროცესის მხარდაჭერით, ხელს უწყობს სტაბილურობას და ამგვარად აუმჯობესებს კავკასიის სახელმწიფოების პერსპექტივებს, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა მიმართულებით განვითარების ხელშეწყობას.

II თავი. ნატო, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კავკასიის რეგიონში

2.1. კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური რაობა და მისი კლასიფიკაცია

სამხრეთ კავკასია მდებარეობს შავ ზღვას (დასავლეთით) და კასპიის ზღვას (აღმოსავლეთით) შორის და ესაზღვრება რუსეთს, თურქეთს და ირანს. ეს რეგიონი წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნოსის (ხალხთა) და კულტურათა გზაჯვარედინად. ამ რეგიონს მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში და აქვს დღემდე. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარეობს 3სუვერენული სახელმწიფო: აზერბაიჯანი (უმეტესი ნაწილი), სომხეთი და საქართველო. რეგიონის არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა, მაგრამ აზერბაიჯანი მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ, გამიზნულ, სწორ პოლიტიკას ატარებს.

სომხეთი. სომხეთი მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში. ამ ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია. დასავლეთიდან ესაზღვრება თურქეთი, ჩრდილოეთიდან საქართველო, აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, ხოლო სამხრეთიდან ირანი.

რეგიონალური ორგანიზაციებიდან სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრია.

სომხეთის სახელმწიფო, ფორმალურად ცდილობს არ გადაუხვიოს დემოკრატიული ქვეყნის რელსებიდან. 2017 წლის ნოემბერში "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის დროს სომხეთმა დადო ხელშეკრულება "ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაფართოებული პარტნიორობის შესახებ", რომელიც არ

გულისხმობს არც თავისუფალ ვაჭრობას და არც ასოცირებას ევროპულ კავშირთან, მაგრამ ევროპის მიმართულებით გადადგმულმა ამ პატარა ნაბიჯმაც კი რუსი ექსპერტებისა და რუსული მედიის დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის მთავრობამ კი ამჯობინა საჯაროდ ამის წინააღმდეგ არ წასულიყო: როგორც ჩანს, ამ ეტაპზე თავისთვის სერიოზულ პრობლემად არ მიიჩნია ეს ნაბიჯი.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, თუნდაც ნატოსთან ურთიერთობისას სომხეთი სიფრთხილეს იჩენს და ცდილობს თავისი პოზიციის რუსეთთან შეთანხმებას.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა გააჩნია, ეს ქვეყანა ლავირებას მაინც ახერხებს და პარალელურად ძალზე თბილი დამოკიდებულება აქვს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ უკანასკნელის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს სომხეთის სტრატეგიული ორიენტაცია რუსეთზე, გაამყაროს თავისი პოლიტიკური გავლენა ამ ქვეყანაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებით გადაწყვიტოს ყარაბაღის პრობლემა. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთის ხელისუფლებისგან შემდეგი საკითხების გადაწყვეტას ცდილობს:

- ქვეყნიდან გაყვანილ იქნას რუსეთის სამხედრო ბაზა და არსებითად შეიცვალოს ურთიერთობა რუსეთთან;
- გაწყდეს სომხეთის ყოველგვარი კავშირი ირანთან;
- ყარაბაღი ფართო ავტონომიური უფლებებით დარჩეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში;

ვაშინგტონი, როგორც ჰუმანიტარული დონორი, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია

სომხურ-ამერიკული დიასპორის როლი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სომხეთის პოლიტიკურ ელიტაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სომხეთის "მილენიუმის" პროგრამაში ჩართვა, რომელმაც პრაქტიკული განხორციელება 2006 წლიდან დაიწყო და სომხეთს ამ მიზნით დაახლოებით 235 მილიონი აშშ დოლარი გამოეყოფა.

ნატო-ს და სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს შორის თანამშრომლობას ღრმა ისტორიული საფუძველი გააჩნია. სომხეთი(ასევე საქართველო და აზერბაიჯანიც) თავიდანვე მონაწილეობდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში - ფორუმში დიალოგისათვის, რომელიც შეიქმნა ნატო-ს მიერ 1991 წელს (დეკემბერის თვეში) , როგორც პირველი ნაბიჯი ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრების ჩართვისაკენ, აღმოსავლეთის და დასავლეთის გამყოფი ზღუდის მიუხედავად, რომელსაც მოგვიანებით, 1997 წელს, ჩაენაცვლა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო. სომხეთი, აზერბაიჯანისა და საქართველოს მსგავსად ჩართულია პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომლის განხორციელება დაიწყო 1994 წელს. პარტნიორული ურთიერთობა გულისხმობს თანამშრომლობაზე მეტს გულისხმობს - საუბარია ისევ და ისევ საერთო ფასეულობებსა და ღირებულებებზე. როცა პარტნიორი ქვეყნები უერთდებიან პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (pfp), ისინი ხელს აწერენ "პროგრამის" ჩარჩო-დოკუმენტს. რას გულისხმობს ეს ყოველივე? ამ დროს პარტნიორები (ერთის მხრივ ალიანსი და მეორეს მხრივ პარტნიორი ქვეყანა), კისრულობენ ვალდებულებას დაიცვან საერთაშორისო სამართალი, გაეროს ქარტია, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ასევე ჰელსინკის საბოლოო აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულებები განიარაღების და შეიარაღების კონტროლის შესახებ; მნიშვნელოვანია ასევე, თავის შეკავება სხვა ქვეყნების მიმართ მუქარის თუ ძალის გამოყენებისგან; უნდა დაიცვან არსებული საზღვრები; მშვიდობიანად მოაგვარონ დავები. ჩარჩო-დოკუმენტი პარალელურად ხაზს უსვამს მოკავშირეების

ვალდებულებას აწარმოონ კონსულტაციები ნებისმიერ პარტნიორ სახელმწიფოსთან, რომელიც მიიჩნევს, რომ საფრთხეშია მისი ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება და სახელმწიფოს სუვერენიტეტი. და მაინც რა არის "პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამის მიზანი? ამაზე ერთადერთი კონკრეტული პასუხი არსებობს. ზემოთაღნიშნული ვალდებულებების და მთლიანობაში პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ნდობა და გამჭირვალობა, შეასუსტოს მშვიდობის დარღვევის საფრთხე, ხელი შეუწყოს შერიგების პროცესს, დაამყაროს უფრო ღრმა ურთიერთობები მოკავშირეებთან უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ეხლა როდესაც განვიხილეთ პარტნიორი ქვეყნის მოვალეობები, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა უშუალოდ პროგრამაზეც. "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის არსს წარმოადგენს პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბება ალიანსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის. თანამშრომლობა ეფუძნება ცალკეული ქვეყნის საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს. პარტნიორებს საშუალება ეძლევათ შეარჩიონ ღონისძიებების ფართო სპექტრიდან ის ძირითადი მიმართულებები, რომლის საფუძველზეც დგება თანამშრომლობის ორწლიანი პროგრამები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც პარტნიორობის ინდივიდუალური პროგრამები. "პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმით" მაღლდება თანამშრომლობის დონე და მეტი ყურადღება ეთმობა მათი პერსპექტიული რეფორმების პრიორიტეტებს.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC), ის ფორუმში აერთიანებს 26 მოკავშირე და 23 პარტნიორ ქვეყანას, დიალოგისა და კონსულტაციისათვის. პარტნიორობის საბჭოს შეხვედრები იმართება ყოველთვიურად ელჩების დონეზე და ყოველწლიურად - საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე, ასევე, დროდადრო, სამიტების ფორმით.

რისთვისაა საბჭო საჭირო და რა დანიშნულება აქვს მას?

ევრო-ატლანტიკური საბჭოს წევრები რეგულარულად აჯამებენ შეხედულებებს უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხებზე. ამას გარდა, საბჭომ წამოიწყო ინიციატივა პრაქტიკული თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტერორიზმთან ბრძოლა, საზღვრების უსაფრთხოება და სხვა საკითხები. წლების განმავლობაში, ევრო-ატლანტიკური საბჭო ატარებდა სხვადასხვა სემინარებს და კონფერენციებს სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გამყარებისადმი პრაქტიკული მიდგომის საკითხებზე.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები ეხება ალიანსის საქმიანობის ყველა სფეროს:

1. თავდაცვისაკენ მიმართული სამუშაოები,თავდაცვის პოლიტიკა და დაგეგმვა.

2. სამხედრო სფეროს რეფორმა, სამხედროებს შორის თანამშრომლობა და ერთობლივი წვრთნები.

3. განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება.

4. საგანებო სიტუაციებში სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვა, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და თანამშრომლობის სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხები.

აზერბაიჯანი. აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთი აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე. აღმოსავლეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა, ჩრდილოეთით რუსეთი, ჩრდილო-დასავლეთით საქართველო, დასავლეთით სომხეთი და სამხრეთით ირანი.

ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისა და უცხოეთის ნავთობკომპანიებთან მრავალმილიარდიანი კონტრაქტების გაფორმების შედეგად ერთ სულ მოსახლეზე

უცხოური ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი **დსთ-ის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა.** ქვეყანაში ყოველდღიურად დაახლოებით 20 მილიონი დოლარის მოცულობის უცხოური ინვესტიცია ხორციელდება, რაც თავისთავად იწვევს ეკონომიკის მაღალ დონეს, რაც პირდაპირპროპორციული ქვეყნის განვითარებასთან.

1996 წელს აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა - პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული შეთანხმების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენს. აგრეთვე, უდიდესი მნიშვნელოვანი ენიჭება აზერბაიჯანის ჩართვას ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში 2004 წლიდან, და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში 2009 წლიდან. ევროკავშირის ინტერესები ქვეყნის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ახალი გაზსადენის მშენებლობის შესახებ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა შემდგომში მოხდეს ევროპის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, ხოლო 2009 წლიდან ევროკავშირის **აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში** ჩართვა. საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება ავტომატურად ქვეყნის უსაფრთხოების საწინდარია. ევროკომისიის წინადადებაა, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობა წამოწყებული იქნეს 2009 წლის გაზაფხულზე გამართულ სამიტზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსა და პარტნიორთა მთავრობების ან სახელმწოფოს მეთაურები. ეს „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტი“ მიიღებს პოლიტიკურ დეკლარაციას, რომლის საფუძველზეც დაარსდება პარტნიორობა, სამიტზე საქვეყნოდ გაცხადდება აღმოსავლეთის პარტნიორობის ძირითადი მიზნები და პრინციპები და განისაზღვრება სამომავლო თანამშრომლობის პროცესის ზოგადი მხარეები.

აღმოსავლეთის პარტნიორობა ხელს შეუწყობს რეფორმების აქტიურად

განხორციელებას, ბაზრებისა და საზოგადოებების ინტეგრაციას, სტაბილურობის დამყარებას, ეს პროგრამა ხელს შეუშლის ჩვენს კონტინენტზე ახალი საფრთხეების წარმოქმნას. ევროკომისია მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური დახმარება გაუწიონ აღმოსავლეთის პარტნიორობას.

აზერბაიჯანის ხელისუფლება გამუდმებით ცდილობს არ გადაუხვიოს დასახულ კურსს, რომლის ძირითად მიმართულებად რჩება კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში პოზიციების გამყარება, ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან, რაც გულისხმობს "ორმაგ თამაშში ჩართვას", უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკის განმტკიცება, ასევე ნავთობის და გაზის ერთობლივ დამუშავებაზე ახალი კონტრაქტების გაფორმება და განხორციელება, მათ შორის მნიშვნელოვანია ევროპის მიმართულებით ახალი მილსადენების მშენებლობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გავლით. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ მიღწეული შედეგები დადებით გავლენას ახდენს აზერბაიჯანი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებაზე. 2006-2007 წლებში აზერბაიჯანში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 30%-ს გადაამეტა.

საგარეო პოლიტიკის დეფინიცია: ღირებულებითი სისტემის ფარგლებში განხორციელებული იმ ამოცანების ფორმულირება და იმპლემენტაცია, რომლებიც წარმოაჩენს ერი-სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მიზნებს, მისწრაფებებს და ხელს უწყობს სახელმწიფოს წარმოჩენას საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. თუ ჩვენ გადავხედავთ აზერბაიჯანის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას ის შემდეგნაირად ფორმულირდება: ქვეყნის ბოლო წლების საგარეო პოლიტიკის ანალიზი, ერთის მხრივ, პროდასავლური კურსის განმტკიცებასა და საიმედო პარტნიორების რიცხვის ზრდაზე მიუთითებს, რაც ძირითადად სანავთობო სტრატეგიისა და რეალიზაციის გზით ხორციელდება და მეორეს მხრივ ქვეყნისთვის

მეტად მნიშვნელოვანია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, რაზეც ნათლად მეტყველებს რუსეთის პრეზიდენტების, პუტინისა და შემდგომში მედვედევის ვიზიტები ბაქოში. თუმცა ამ ურთიერთობებს გარკვეული დაღი დაასვა რუსეთის მიერ აზერბაიჯანისადმი გაზის ექსპორტის შეწყვეტამ 2006 წელს მას შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა უარი განაცხადა რუსული გაზის იმპორტზე 230 დოლარად.

აზერბაიჯან-რუსეთს შორის ურთიერთობები როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიაში იმ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც **არ არსებობს რუსეთის სამხედრო ბაზები**. მართალია მოსკოვის ზეწოლის შედეგად აზერბაიჯანი 1993 წელს ოფიციალურად შევიდა დსთ-ში, მაგრამ რუსეთის სამხედრო ბაზები მას თავის ტერიტორიაზე არ დაუბრუნებია, თუმცა ქვეყანაში ისევ რუსეთის ზეწოლის შედეგად 2000 წლიდან ფუნქციონირებს რუსეთის საკუთრებაში მყოფი გაბალინის რადიო ლოკაციური სადგური. როგორც უკვე აღვნიშნე რუსეთი სომხეთის მოკავშირეა, მაგრამ პარალელურად ცდილობს აზერბაიჯანთან დაახლოებას, იმისთვის რომ კავკასიის რეგიონში არ მოხდეს რომელიმე ქვეყნის განვითარება. თუ აზერბაიჯანი შეძლებს ნატოსთან დაახლოებას, მაშინ რუსეთის სახელმწიფოს პრობლემები შეექმნება. და შესაბამისად, ყველანაირი გზით ცდილობს ამ ყველაფერში ხელის შეშლას. რაც შეეხება აზერბაიჯანული მხარისთვის პრობლემას წარმოადგენს კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსი, კასპიის ენერგორესურსების ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები, სომხეთისათვის იარაღის გადაცემა რუსების მიერ და რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობის საკითხები.

საქართველო. საქართველო წარმოადგენს სუვერენულ სახლმწიფოს კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესაზღვრება ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და

დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

საქართველოში წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, ორგანიზებული როგორც უნიტარული, ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ქვეყანა ამჟამად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს, სუამის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის. საქართველო ასევე მიისწრაფვის ევროპის კავშირში ინტეგრაციასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას. საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მათი თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება. დროთა განმავლობაში ურთიერთობა გაღრმავდა და უკვე 2002 წელს პრაღაში საქრთველომ გააჟღერა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი.

2.2. კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული პროექტები და მათი მნიშვნელობა რეგიონის უსაფრთხოების დაცვაში

კავკასიის რეგიონში, თანამედროვე ეტაპზე, სხვადასხვა სახის ენერგეტიკული პროეტები ხორციელდება, რომლის სათავეშიც აზერბაიჯანის სახელმწიფოა. თუ რა სახის პროექტები უზრონველყოფენ რეგიონის მნიშვნელობას უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ ყველაფერზე ქვემოთ ვისაუბრებ დაწვრილებით. ასევე ყურადღება მინდა გავამახვილო რუსეთის ფედერაციიის ფაქტორზე, რომელიც ცდილობს კავკასიის ქვეყნების განვითარებასა და წინსვლას რითაც შეუძლია ხელი შეუშალოს.

რუსეთის სახელმწიფოს მიზანი იყო საქართველოზე ზეწოლასთან ერთად ხელი შეეშალა რუსეთიდან თურქეთში მიმავალი "ცისფერი ნაკადის" კონკურენტი პროექტის ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტის განხორციელებისთვის. ორიოდე სიტყვა ამ პროექტთან დაკავშირებით: **"ცისფერი ნაკადის"** პროექტი სტრატეგიული მოსაზრებებით ამბიციურ პროექტს წარმოადგენს. ის განკუთვნილია ბუნებრივი აირის გაყიდვისთვის გაზის 16 მილიონ კუბური მეტრის გადაზიდვას რუსეთის მხარიდან თურქეთში, წელიწადში 1289 კილომეტრიანი გაზსადენის მეშვეობით, რომელიც ფარავს რუსეთის 392 კილომეტრს შავი ზღვის ქვეშ და 501 კილომეტრი სამსუნსა და ანკარას შორის, თურქეთის სამსუნის ზღვის სანაპიროს მიღწევამდე.

როგორც უკვე აღვნიშნე რუსეთის სახელმწიფო კავკასიაში ცდილობს სამივე ქვეყნის განვითარებას ხელი შეუშალოს. თავის მხრივ, აზერბაიჯანმაც უარი განაცხადა განეხორციელებინა ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის პორტ ნოვოროსიისკამდე, ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის მეშვეობით, თუმცა, უკვე 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა შედარებით

დასტაბილურდა, დაიდო რიგი შეთანხმებები, მათ შორის რუსეთის მიერ აზერბაიჯანში მოპოვებული ჯერ კიდევ 500 მილიონი , ხოლო შემდეგ 1 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის შესყიდვის თაობაზე. აგრეთვე, აზერბაიჯანული ნავთობის ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ტრანსპორტირების თაობაზე.

რაც შეეხება აზერბაიჯან თურქეთის ურთიერთობას, აქ შემდეგი მახასიათებლები გამოიყოფა: აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობები ტრადიციულად სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ვითარდება. ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში, თურქეთი ერთმნიშვნელოვნად აზერბაიჯანს უჭერს მხარს და ამას აკეთებს უკვე ძალიან დიდი ხანია.

კასპიის სანავთობო პროექტებმა ეს ორი თურქულენოვანი ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვა. ბაქომ არაერთგზის აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის ძირითადი ნავთოსადენი თურქულ პორტ ჯეიჰანისკენ გაემართება.

მოკლე მიმოხილვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტზე: 1999 წლის 18-19 ნოემბერს ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. მარშრუტის საერთო სიგრძეა 1730 კმ, აქედან 468 კმ აზერბაიჯანზე მოდის, საქართველოზე გაივლის 225კმ, ხოლო თურქეთზე 1037კმ. ნავთობსადენის მილის დიამეტრია 1240მმ.

აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, როდესაც დაიწყო ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ხოლო 2007 წლიდან ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის ფუნქციონირებამ. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ამოქმედებასაც, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს კასპიისა და შავი ზღვის, და ასევე მთლიანად ევრო-ატლანტიკურ რეგიონში

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად შეიძლება განისაზღვროს კასპიის სანავთობო პროექტებში უცხოური ნავთობკომპანიების მაქსიმალური ჩართვა, ეროვნული დამოუკიდებლობის გამყარება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა, რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და სხვადასხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების გამყარება.

ტრანსანატოლიური გაზსადენის (TANAP) მიხედვით დაგეგმილია აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირება. აღნიშნული პროექტის შესახებ დისკუსია 2011 წლის 17 ნოემბრიდან დაიწყო, როდესაც შავი ზღვის მესამე ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ფორუმზე დისკუსია გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება სტამბულში წარიმართა. დაახლოებით ერთი თვის თავზე, თურქეთმა და აზერბაიჯანმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც გაზსადენის მშენებლობისა და მისი ოპერირებისათვის კონსორციუმის შექმნას ითვალისწინებდა. თავდაპირველად, მილსადენის მშენებლობა 2014 წლისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო მისი დასრულება 2018წელს.

ტრანსადრიატიკული გაზსადენის მეშვეობით კასპიის ზღვის რეგიონში მოპოვებული გაზის ევროპაში ტრანსპორტირებაიქნება შესაძლებელი. დაგეგმილია, რომ ტრანსანატოლიური გაზსადენის ახალ გაზსადენად შეერთება საბერძნეთ თურქეთის საზღვარზე მოხდება, რომლის შემდეგ TAP-ის გაზსადენი აგებულ იქნება ჩრდილოეთ საბერძნეთის, ალბანეთის აგრეთვე ადრიატიკის ზღვის საზღვაო სივრცეში სამხრეთ იტალიის მიმართულებით, სადაც იგივე იტალიის ბუნებრივი გაზის ქსელთან იქნება შეერთებული. თავის მხრივ, სამხრეთის გაზის დერეფნის ფარგლებში აგებულ იქნება 3500-კილომეტრი სიგრძის გაზის მილსადენის ქსელი, რომელიც მოიცავს სივრცეს კასპიის ზღვის რეგიონიდან ევროპამდე. TAP-ის

პოტენციალი იქნება დაახლოებით 10 მილიარდი მეტრი ბუნებრივი გაზი ერთი წლის განმავლობაში.

2.3. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მომენტები.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს გარკვეული სახის კომუნიკაცია გააჩნია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. თუ რა სფეროებში და როგორ თანამშრომლობენ ეს ქვეყნები ნატო-სთან ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ დაწვრილებით.

1. თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თითოეული სახელმწიფოს შესაძლებლობების ზრდას ალიანსის მიერ წარმოებული სამშვიდობო და კრიზისების დარეგულირების ოპერაციების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ორმხრივი პროგრამები და მრავალეროვნული წვრთნები ხელს უწყობს სამივე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უნარის ზრდას იმოქმედონ ალიანსის ძალებთან ერთად.

ასევე მნიშვნელოვანია ერთ ენაზე კომუნიკაცია და თავსებადობის დონის ზრდა, სტანდარტული პროცედურების თვალსაზრისით.

„პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის ფარგლებში წარმართული სამზადისის მეშვეობით, აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა მონაწილეობა მიიღეს ალიანსის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში.

აზერბაიჯანული ოცეულები მონაწილეობდნენ კოსოვოს სამშვიდობო ძალებში (KFOR), თურქული კონტინგენტის ფარგლებში ხოლო ავღანეთის სამშვიდობო ძალებში (ISAF) - 2002 წლიდან. აზერბაიჯანული კონტინგენტი ავღანეთში გაორმაგდა 2007 წელს.

დასრულების ფაზაშია ავღანეთის სამშვიდობო ძალებისათვის გაწეული სხვა დახმარება, სამედიცინო და სპეც-დანიშნულების ძალებით დახმარების ჩათვლით.

2 კავკასიის ქვეყნები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პარტნიორთა სამოქმედო გეგმაში მონაწილეობს მას შემდეგ, რაც განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებზე (2001წელს) ტერორისტული თავდასხმები.

ხსენებულ სფეროში თანამშრომლობა მოიცავს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას და წვრთნებს ტერორიზმთან ბრძოლისუნარიონობის და საზღვების დაცვის დონის ასამაღლებლად; ასევე, შესაძლო ტერორისტული თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციისათვის მზაობის დონის ამაღლებას.

3 თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს რეფორმა

თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროს რეფორმა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს სამხრეთ კავკასიაში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში და ალიანსთან შეთანხმებული "სამოქმედო გეგმების" უმთავრეს ასპექტს. ესაა სფერო, რომელთან მიმართებაშიც ალიანსი და კონკრეტული მოკავშირეები ფლობენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომლის გაზიარებაც შეუძლიათ პარტნიორებს. უმთავრესი პრიორიტეტებია მათი შესაძლებლობების გაზრდა ევრო-ატლანტიკურ რეგიონში კრიზისების დაძლევის და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის თვალსაზრისით, ხელშეწყობა სახელმწიფო თავდაცვითი ორგანოების ეფექტური და შედეგიანი მართვის მეთოდების შემუშავების პროცესში და სამოქალაქო და დემოკრატიული ერთეულების მიერ შეიარაღებული ძალების კონტროლის ხელშეწყობა.

"სამოქმედო გეგმები" აღრმავებს პოლიტიკურ დიალოგს და ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობას ალიანსთან დემოკრატიული, ინსტიტუციური და თავდაცვის სფეროს რეფორმების საკითხებზე. ინსტიტუციური რეფორმების შესრულება ხელს უწყობს თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმების გაღრმავებას და დემოკრატიული პრინციპების დანერგვას.

თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის უფრო მეტად სპეციფიური და ტექნიკური რეფორმები განიხილება პარალელურად „პარტნიორობა მშვიდობისთვის" დაგეგმვის და ანალიზის პროცესის კონტექსტში (PARP). ის ხელს უწყობს იმ ძალების და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, ზრდას და შეფასებას, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს ალიანსის მრავალეროვნული წვრთნების და ოპერაციების მიზნებისათვის. ის ასევე უზრუნველყოფს პარტნიორებს ჩარჩოებით, რომლის ფარგლებშიც უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტური, მობილური და შეუდრეკელი შეიარაღებული ძალები და ხელს უწყობს თავდაცვის სექტორის უფრო ღრმა რეფორმებს.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ და მათ შორის აზერბაიჯანმაც, მიიღო გადაწყვეტილება მონაწილეობა მიეღო დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში, მიუხედავად აღნიშნულის ნებაყოფლობითი ხასიათისა. ამ ყოველივეს თანახმად, თითოეულ ქვეყანასთან წარმოებს მოლაპარაკება დაგეგმილი მიზნების თაობაზე, ხოლო მიღწეული პროგრესი სიღრმისეულად ფასდება ყოველწლიურად.

კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ორგანიზაციული ინფრასტუქტურის შექმნის პარტნიორთა სამოქმედო გეგმა (PAP-DIB). ხორციელდება რა 2004 წლიდან, PAP-DIB ახდენს პარტნიორთა სტიმულირებას და ხელს უწყობს მათ შექმნან ეფექტური და დემოკრატიული პასუხისმგებლობით სავსე თავდაცვითი სტრუქტურები. მისი საბოლოო მიზანია დაუქვემდებაროს ეფექტურ დემოკრატიულ ასევე სამოქალაქო კონტროლს შეიარაღებული ძალები, თავდაცვითი, უსაფრთხოების სტრუქტურები, აამაღლოს მათი ანგარიშვალდებულებისა ასევე გამჭვირვალობის დონე და უზრუნველყოს მათი სათანადო დაკომპლექტება, სტრუქტურა და დაფინანსება, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნების პასუხად.

4 მზაობა სტიქიური უბედურებებისათვის და მათზე რეაგირება

სტიქიური ან ადამიანის მიერ გამოწვეული მოვლენები შესაძლოა დაუძლეველი იყოს საუკეთესოდ მომზადებული ქვეყნებისთვისაც კი. აღნიშნული კატასტროფების შედეგები ხშირად სცდება საზღვრებს და, ამდენად, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მთელი რეგიონების უსაფრთხოებას და სტაბილურობას. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა სტიქიური უბედურებებისათვის მზაობის და მათზე რეაგირების (რაც ალიანსის წრეში ცნობილია როგორც"სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვა საგანგებო სიტუაციებისათვის") თვალსაზრისით და შეადგენს კიდეც პარტნიორობის ფარგლებში საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

აზერბაიჯანი ალიანსთან თანამშრომლობით, განაგრძობს მუშაობას სტიქიური უბედურებებისათვის სახელმწიფო მზაობის და მათზე რეაგირების საშულებების ზრდის მიმართულებით.

ხსენებულ სფეროში გატარებულია არაერთი ღონისძიება სტიქიურ უბედურებებზე და კატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის (EADRCC) ეგიდით.

ეს ცენტრი შეიქმნა 1998 წელს, მასზე ხელმომწერი ქვეყნების ძალისხმევის კოორდინაციის მიზნით. მაგალითად, მან ხელი შეუწყო აზერბაიჯანში 2003 წლის და საქართველოში 2005 წლის წყალდიდობების, ხოლო 2006 წელს საქართველოში ტყის ხანძრის შემდგომი დახმარების კოორდინაციას.

5 წვრთნები

წვრთნები იძლევა საუკეთესო შესაძლებლობას შეფასდეს შესაძლებლობები მოქმედებაში და განისაზღვროს უფრო ღრმა თანამშრომლობის სამომავლო სფეროები. სამხრეთ კავკასიის პარტნიორი ქვეყნები მონაწილეობდნენ მსგავს წვრთნებში 2000 წლის შემდეგ. ბოლო წლებში, EAPC-ს ღონისძიებების უმეტესობა, მათ შორის, რიგი წვრთნებისა, ინიცირებული, ორგანიზებული და გატარებული იქნა პარტნიორ ქვეყნებში. აღნიშნული ასახავს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც პარტნიორები ანიჭებენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვას საგანგებო სიტუაციებისათვის, რომელიც შეადგენს „პარტნიორობა მშვიდობისათვით“ განსაზღვრული ღონისძიებების უმსხვილეს სამოქალაქო კომპონენტს.

2018 წელი. ვაზიანის პოლიგონის სწავლება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 2018წლის 1-15 აგვისტოს (ჩათვლით) ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე, ვაზიანის პოლიგონსა და ნორიოს საწვრთნელ ბაზაზე მრავალეროვნული სამხედრო სწავლება გაიმართება. სახელწოდებით "ღირსეული პარტნიორი 2018", მასში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ქვეყნები: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ნორვეგია, აშშ, ინგლისი, თურქეთი, გერმანია, ესტონეთი, საფრანგეთი, უკრაინა, პოლონეთი და ლიეტუვა. ექსპერტი ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ სამხედრო წვრთნებში სომხეთის მონაწილეობა არ არის გასაკვირი, რადგან ამ წვრთნებში მონაწილეობის მიღება ყველა პარტნიორ ქვეყანას შეუძლია.
ჯამში, წვრთნებში მონაწილეობას მიიღებს 13 ქვეყნიდან წარმოდგენილი 3 ათასი სამხედრო, გაზრდილია სწავლებაში მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციისა და გერმანული ჯავშან-ტექნიკის რაოდენობაც. წლევანდელი სწავლების მთავარი მიზანია სტაბილურობის, თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში

უნარჩვევების გაუმჯობესებაა; საქართველოს, აშშ-სა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და ურთიერთავსებადობის ამაღლება; ასევე, შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანა.

ვახტანგ მაისაიას თქმით, იქამდე სანამ სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული, ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციაზე ან პარტნიორობის გარდა რაიმე სახის სხვა ურთიერთობაზე საუბარი უშედეგო იქნება. "უბრალოდ, სომხეთი არის სხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი, რომელიც ნატო-ს მოწინააღმდეგეა და სანამ სომხეთი არ გამოვა ამ ბლოკიდან, არაფერი არ გამოუვა ნატო-სთან". "ბუნებრივია, რომ რეგიონში არსებულ ვითარებაზე ამ ფაქტს არანაირი ზეგავლენა არ ექნება, რადგან სამხრეთ კავკასიის არც ერთი რესპუბლიკა, საქართველოს გარდა, არ აპირებს ნატო-ში გაწევრიანებას, მაგალითად აზერბაიჯანს ეს საკითხი ისედაც არ აინტერესებს, რადგან მისთვის მთავარია თავისი პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნება. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა არის ავტორიტარული და აზერბაიჯანში ჰიბრიდულ-დემოკრატიული რეჟიმია. შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას ნატო-ში გაწევრიანება საერთოდ არ ადარდებს და არ აინტერესებს.

6 მეცნიერება და გარემოს დაცვ

მეცნიერები და მკვლევარები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან სარგებლობენ ალიანსის ”მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის” (SPS) პროგრამით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, რომლებიც ხელს უწყობს ალიანსის და პარტნიორი ქვეყნებიდან მეცნიერებს შორის თანამშრომლობას, კავშირების დამყარებას და ძალისხმევის მობილიზიას. გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს კვლევით საქმიანობას, სემინარებს, კონფერენციებს და ერთობლივ კვლევებს სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხებზე. თანამშრომლობა მეცნიერებს შორის ურთიერთობის ტრადიციული ფორმაა და აუცილებელია სამეცნიერო პროგრესისათვის. დამყარებული ურთიერთობები ასევე ემსახურება სხვადასხვა კულტურის და ტრადიციების მატარებელ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების და ნდობის გაღრმავების პოლიტიკურ მიზნებს.

კიდევ ერთი მიზანია იმ ტექნოლოგიის გაზიარების და გადაცემის ხელშეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს პარტნიორ ქვეყნებს გადაწყვიტონ შესაბამისი კონკრეტული პრობლემები.

გარდა სამეცნიერო სფეროში კვლევებზე კონცენტრირებული პროექტებისა, „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ პროგრამის ძალისხმევა ასევე მიმართულია სამეცნიერო და აკადემიური საზოგადოების გაძლიერებისაკენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ”ვირტუალური აბრეშუმის გზის” პროექტი მიზნად ისახავს კავკასიის და ცენტრალური აზიის სამეცნიერო ერთეულებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას სატელიტური ქსელების მეშვეობით. გრანტები ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნაზე დახმარებას უწევს სამეცნიერო დაწესებულებებს პარტნიორ ქვეყნებში იმ აღჭურვილობის უზრუნველყოფის გზით, რომელიც გააუმჯობესებს მათი სატელეკომუნიკაციო საშუალებების დაცულობის დონეს.

მაგალითად: „მელანჟის” ტიპის სარაკეტო საწვავი წარმოადგენს მეტად ტოქსიკურ და კოროზიულ რაკეტის საწვავის მჟანგველს, რომელიც გამოიყენებოდა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში, ახლა კი სერიოზულ საფრთხეს ქმნის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის მთავრობის მოთხოვნით, ალიანსის პროგრამის -”მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის” - ფარგლებში, ალიანსის ტექნიკური უზრუნველყოფის და მომარაგების სააგენტოს (NAMSA), როგორც აღმასრულებლის მეშვეობით, ამოქმედდა ”მელანჟის” უსაფრთხო ნივთიერებად გადამამუშავებელი მობილური დანადგარი. 2007 წლის ბოლოსათვის გადამუშავებული იქნა 1200 ტონა ”მელანჟი“.

7 საზოგადოების ინფორმირება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კავკასიის სამივე ქვეყანასთან თანამშრომლობისას დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოების სათანადო ინფორმირებას და ამ ყოველივეს სხვადასხვა მეთოდებით ახერხებს. ასე მაგალითად, მიმდინარეობს მრავალჯერადი მუშაობა საგანმანათლებლო უწყებებთან, უფრო კონკრეტულად კი უნივერსიტეტებთან, ასევე არასმთავრობო ორგანიზაციებთან და ინფორმაციის მასობრივ საშუალებებთან, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. ეს ყოველივე საჭიროა, რათა საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია ალიანსთან თანამშრომლობის სარგებლის თაობაზე, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების საკითხებზე უფრო ფართო დიალოგში ჩართვის მიზნით. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ალიანსის დახმარებით და სახელმწიფო დაწესებულებებთან შეთანხმებით, ორგანიზებას უწევენ არაერთ ღონისძიებას, ისეთი როგორიცაა სემინარები, კონფერენციები და საგამომცემლობო პროექტები ორგანიზება და სათანადო მოწყობა; არაფორმალური ლიდერების ჯგუფებს სამივე ქვეყნიდან რეგულარულად იწვევენ ალიანსის შესახებ ბრიფინგებზე, რომელიც ხშირად ალიანსის შტაბბინაში იმართება და ასევე ეს ღონისძიებები ეწყობა ალიანსის ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში; ალიანსის ოფიციალური პირები ხშირად ჩადიან რეგიონში მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ალიანსის სახალხო დიპლომატიის განყოფილება ასევე ხელს უწყობს ალიანსის შესახებ საინფორმაციო ცენტრების შექმნას სამივე ქვეყანაში, რომლებიც ფუნქციონირებს როგორც საკოორდინაციო ცენტრები, შესაბამისი პუბლიკაციების და დოკუმენტების გავრცელების მიზნით.

როგორც უკვე აღვნიშნე ალიანსი მართავს სხვადასხვა სახის შეხვედრებს, ქვემოთ მინდა განვიხილო ერთ-ერთი შეხვედრის დეტალება, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვია ნატოს გენმდივანს ანდერს ფოგ რასმუსენს პრესკონფერენციაზე, რომელიც ბრიუსელში ჩატარდა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ "აზერბაიჯანი ისწრაფვის მომავალში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის ახლო და საიმედო პარტნიორი იყოს". ეს ოფიციალური განცხადება ადასტურებს აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და მისწრაფებებს. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ წლებია უკვე რაც აზერბაიჯანი ნატოსთან თანამშრომლობს და ამ პერიოდის განმავლობაში ეს ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის დონეს მიუახლოვდა.

1. "ამასთან ერთად, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ალიანსს აზერბაიჯანის სამხედრო ძალების რეფორმირების მხარდაჭერის გამო, რომლებიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ნატოს სტანდარტებს“. [3]

2. აზერბაიჯანი პარალელურად მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთობლივ პროგრამებში და მხარს უჭერს ნატოს ძალისხმევას ავღანეთში. აზერბაიჯანის საჰაერო სივრცის გავლით ავღანეთში ნატოს სამხედრო ტვირთები მიდის. აზერბაიჯანის სახელმწიფო ასევე მონაწილეობს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მომზადებაში. აზერბაიჯანი მონაწილეობს ტერორირზმთან ბრძოლის პარტნიორობის მოქმედების გეგმაში. აზერბაიჯანი და ნატო ასევე ერთობლივად მუშაობენ ქვეყნის სამხედრო და საზღვაო უსაფრთხოების ამაღლებაზე. განიხილება საკითხი კასპიის აზერბაიჯანულ სექტორში უკანონო საქმიანობის აღკვეთის შესახებაც.

3. ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ

[3] ,,ნატო კავკასიაში აზერბაიჯანის მხრიდან შემოდის“. გვ.1. https://ghn.ge/news/101726-nato-kavkasiashi-azerbaijanis-mkhridan-shemodis (ბოლო ნახვა 12.06.2020)

პროგრამაზე "კასპიის მცველი", რომლის შტაბ-ბინა ბაქოსთან ახლოს მდებარეობს.

4. აზერბაიჯანი და აშშ დღეისათვის სამხედრო თანამშრომლობის რამდენიმე პროგრამას ახორციელებენ, რომელთა ძირითადი მიმართულებაა - ნატოს სტანდარტების მიხედვით, ნაციონალური არმიის მოდერნიზება, ჯარზე სრული დემოკრატიული კონტროლის დამყარება, თავდაცვითი დაგეგმარება და თავდაცვითი ბიუჯეტის ფორმირებაა".

1999 წელს აზერბაიჯანელი სამხედროები დახმარებას უწევდნენ ნატოს კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების დროს. რაც შეეხება კოსოვოს სამხედრო ოპერაციას, მინდა ორიოდე სიტყვით დავახასიათო ეს ქეისი.

იუგოსლავიაში კომუნისტური მმართველობის პერიოდში 1989 წლამდე, უმეტესწილად ალბანელებით დასახლებულ კოსოვოს მხარეს გააჩნდა ფართო ავტონომია სერბეთის მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში. თუმცა 1989 წელს, იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა სლობოდან მოლოშევიჩმა გააუქმა კოსოვოს ავტონომიური სტატუსი, დაუქვემდებარა რა იგი ბელგრადის უშუალო მმართველობას, რამაც ადგილობრივი ალბანელების აღშფოთება გამოიწვია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა სამართლიანობის პრინციპი არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე მაღლა დააყენა და როდესაც ნატომ მშვიდობიანი გზით ვერ გადაწყვიტა პროლემა, ალიანსი იძულებული გახდა განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რისი მიზეზიც როგორც ცნობილია გახლდათ ის მასშტაბური ეთნიკური წმენდა, რომელსაც მილოშევიჩის რეჟიმი ატარებდა კოსოვოელი ალბანელების, ანუ ამ ქვეყნის ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ. საერთაშორისო სამართლის კუთხით ამ ოპერაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში მისი მუდმივი წევრების - რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის პოზიციების გამო,

რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას, ალიანსს იძულებულს ხდიდა ეწარმოებინა სამხედრო კამპანია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე.

აზერბაიჯანული სამხედროები დახმარებას უწევდნენ ნატოს 2002 წლიდან - ავღანეთში. რაც შეეხება ავღანეთის სამხედრო ოპერაციას, მინდა ორიოდე სიტყვით დავახასიათო ეს ქეისიც.

მსოფლიო ისტორიის ირონიაა ის ფატი, რომ ნატო თავის პირველ სახმელეთო საბრძოლო ოპერაციას მართავს იქ, სადაც ცივი ომის დროინდელი მეტოქე - საბჭოთა არმია საბოლოოდ დამარცხდა და იძულებული გახდა 1988 წლიდან ავღანეთიდან საკუთარი ჯარების გამოყვანა დაეწყო.

ეს არის ნატო-ს პირველი სამხედრო სახმელეთო ოპერაცია, როგორც უკვე აღვნიშნე ალიანსი 1999 წელს კოსოვოშიც ომობდა, მაგრამ მაშინდელი კომპანია მხოლოდ საჰაერო გახლდათ.

2.4. თანამშრომლობის შემაფერხებელი გარემოებები კავკასიის რეგიონის დაპირისპირებული სახელმწიფოთა გათვალისწინებით.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობს გავლენის მოპოვებას კავკასიის რეგიონში, მაგრამ ნატო-ს ამ მიზნების განხორციელებაში ხელს უშლის რუსეთის სახელმწიფო. ქვემოთ ვისაუბრებ იმ შემაფერხებელ გარემოებებზე, რაც არსებობს კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის სხადასხვა მიმართულებებით განვითარების თავლსაზრისით.

რუსეთთან თანამშრომლობის განვითარება

არსებობს ვარაუდი, რომ აზერბაიჯანში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში დამარცხებისა და კონფლიქტის „გაყინვის“ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რუსეთის პროსომხური პოზიცია მიიჩნევა. ამიტომაც, წლების შემდეგ, ბაქოსთვის აშკარა გახდა, რომ სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის აზერბაიჯანის სასარგებლოდ შესაცვლელად გადამწყვეტი ფაქტორი რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება იქნებოდა. ამის შემდგომ აზერბაიჯანის სახელმწიფომ სერიოზულად დაიწყო ფიქრი რუსეთთან დაახლოებაზე. აზერბაიჯანმა გარკვეული პერიოდის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში მომხრეები გაიჩინა. მაგ., სამხედრო თანამშრომლობის თემატიკაზე ბაქოს ხშირად სტუმრობს რუსეთის ვიცე-პრემიერი დიმიტრი როგოზინი, რომელიც აზერბაიჯანში იარაღის გაყიდვას და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას ლობირებს. 2017 წლის 8 სექტემბერს ბაქოში რუსეთის გენშტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვიც იმყოფებოდა, რომელთანაც ილჰამ ალიევმა სამხედრო-ტექნიკური თანამშროლობის შემდგომი განვითარების საკითხები განიხილა.

ბაქოს პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო და რუსეთი ეხლა უკვე აზერბაიჯანს თავისი იარაღითაც კი ამარაგებს.

2017 წელს, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე, რუსეთმა აზერბაიჯანს საბრძოლო მასალა და სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ტექნიკა მიაწოდა (მათ შორის, ჯავშანტრანსპორტიორები, ტანკები, ქვეითი საბრძოლო მანქანები, ვერტმფრენები, ყუმბარმტყორცნები და სხვ.).

აზერბაიჯანის მიმართ რუსეთის მხრიდან გაჩენილი სიმპათიები განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა სომხეთში 2016 წლის „ოთხდღიანი ომის“ შემდეგ. „ოთხდღიანი ომის“ შედეგად აზერბაიჯანულმა მხარემ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით გარკვეული ტერიტორიები დაიკავა, რომელსაც 1994 წლიდან სომხური მხარე აკონტროლებდა. სომხეთში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ 2016 წლის აპრილში რუსეთმა სომხეთს უღალატა და აზერბაიჯანის პირისპირ მარტო დატოვა.

1994 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის საზღვრისპირა რაიონებში სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო დაპირისპირება არასოდეს შეწყვეტილა. თუმცა, ბოლო წლებში მეზობლებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა. 2016 წელს მომხდარ სამხედრო დაპირისპირებას, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ომის („ოთხდღიანი ომი“) კვალიფიკაციაც კი მისცეს. ბაქოს შეფასებით, „ოთხდღიან ომში“ წარმატებამ დაადასტურა, რომ ბოლო წლებში სამხედრო სფეროში გადადგმულმა ნაბიჯებმა სასურველი შედეგი გამოიღო, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყვეტა უნდა უზრუნველყოს. აზერბაიჯანის საბოლოო მიზანი მთიანი ყარაბაღისა და სომხეთის მიერ ოკუპირებული შვიდი აზერბაიჯანული რაიონის დაბრუნებაა.

აზერბაიჯანმა სომხეთთან დაკავშირებით სამხედრო–პოლიტიკური ბალანსის

თავის სასარგებლოდ შეცვლისა და შესაძლო სამხედრო დაპირისპირებებში წარმატების მიღწევის მიზნით სწრაფი ტემპებით გაზარდა სამხედრო ხარჯები და საკუთარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და სხვადასხვა ქვეყანასთან სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა განავითარა. ბოლო წლებში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სომხეთის სტრატეგიულ მოკავშირე რუსეთთან აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების ტემპები. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთთან თანამშრომლობამ განაპირობა ის წარმატება, რაც აზერბაიჯანს ხვდა წილად „ოთხდღიან ომში“.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2006 წლიდან აზერბაიჯანის სამხედრო ხარჯების განუხრელი ზრდის ტემპები და ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ განხორციელებული ენერგოპროექტებიდან მიღებულმა შემოსავალმა უზრუნველყო.

ფაქტია, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფოს ეს ყველაფერი სომხეთთან მიმართებაში სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად სჭირდება, რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას აზერბაიჯანის სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ამ გზით შეძლებს სომხეთის მიერ ოკუპირებული რაიონების ისევ უკან დაბრუნებას.

რაც შეეხება სამხედრო სფეროში აზერბაიჯან-რუსეთის თანამშრომლობის განვითარების, ამ ყველაფრის მიზანია სომხეთ-აზერბაიჯანის შესაძლო დაპირისპირებაში რუსეთის მხრიდან მინიმუმ ნეიტრალური პოზიციის უზრუნველყოფა.

სამხედრო ხარჯების მხრივ უპირატესობის მოპოვებამ და სომხეთის სტრატეგიულ მოკავშირე რუსეთთან ბოლო პერიოდში გააქტიურებულმა თანამშრომლობამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, სომხეთთან მცირემასშტაბიან ომში აზერბაიჯანის წარმატება განაპირობა. 2016 წლის 2-5 აპრილს „ოთხდღიან“ ომში აზერბაიჯანმა ორი გორაკი დაიბრუნა, რასაც უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა

ჰქონდა აზერბაიჯანისთვის. სომხეთისთვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ ეს პირველი სერიოზული მარცხი იყო, რამაც სომხური არმიის უძლეველობის მითი შეარყია. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს სომხეთმა დაინახა რუსეთის არასაიმედო დამოკიდებულება სომხეთის სახელმწიფოსთან მიმართებით, ამ ქვეყანას მაინც შეზღუდული რესურსების გამო უწევს რუსეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა.

სომხეთი "ჩაკეტილი ქვეყანაა" არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ მას არა აქვს გასასვლელი ღია ზღვაზე და, შესაბამისად, მსოფლიო ოკეანეში, არამედ საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო მას არ შეუძლია კონტაქტების დამყარება აღმოსავლეთით, სადაც მას აზერბაიჯანი ემეზობლება და არც დასავლეთით, სადაც აზერბაიჯანთან სოლიდარობის გამო თურქეთს 1993 წლიდან ჩაკეტილი აქვს საზღვარი სომხეთთან. სომხეთსა და ნატოს წევრ თურქეთს შორის დღევანდელ ეტაპზეც ძალზე დაძაბული ურთიერთობა შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ, თუმცა ამ ხელშეკრულეების რატიფიცირება დღემდე არ მომხდარა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყანა იზოლაციაშია მოქცეული, გლობალიზაციისკენ შეიძლება ისწრაფვოდეს, მაგრამ ამისთვის რეალური შესაძლებლობები არ ქონდეს. მხოლოდ სამხრეთით - ირანთან და ჩრდილოეთით - საქართველოსთან აქვს სომხეთს სხვა სახელმწიფოებთან კომუნიკაციის საშუალება. სომხეთის სავაჭრო ბრუნვის სამი მეოთხედი საქართველოს გავლით ხორციელდება. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთის მოკავშირეებს შორის სომხეთმა ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადა. ომის დროს, სომხეთმა დაახლოებით 680 მილიონი დოლარით იზარალა. როდესაც რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი შიდა ქართლში, სომხეთმა სასწრაფოდ გააგზავნა შესაბამისი მასალები და ინჟინრები სარკინიგზო ხიდის

რეკონსტრუქციის მიზნით. ამგვარად, რუსეთ-საქართველოს ომმა სომხეთი გარკვეული დილემის წინაშეც კი დააყენა. როგორც რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე რეგიონში, სომხეთი უნდა მისალმებოდა რუსეთის ქმედებებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ აიძულა ოფიციალური ერევანი, დაეკავებინა საშუამავლო პოზიცია, რათა თავისი საქციელით არ გაეღიზიანებინა ოფიციალური თბილისი.

როგორც უკვე აღვნიშნე, სომხეთის ვექტორი მიმართულია რუსეთის სახელმწიფოსკენ. რუსეთის იმპერიული ძალები კი სომხეთის სახელმწიფოს იყენებენ კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ჩასაშლელად. რუსეთის ავტორიტარული სახელმწიფო ცდილობს ამ ქვეყნის პაიკის როლში გამოიყვანოს საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის. სომხეთის სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ხვდება ამ ყოველივეს, მაგრამ ამ ქვეყანას, შეიძლება ითქვას, რომ სხვა გამოსავალი არ აქვს. ამდენად, რუსეთი სომხეთს უყურებს, როგორც თავის მთავარ სამხედრო დასაყრდენს სამხრეთ კავკასიაში. სომხეთი კი მიიჩნევს რუსეთს ძირითად მოკავშირედ, რადგან ესაჭიროება ის, როგორც გეოპოლიტიკური და სახმედრო გამაწონასწორებელი თავის კონფრონტაციაში მეზობელ ქვეყნებთან. მათში კი, პირველ რიგში, თურქეთი და აზერბაიჯანი მოიაზრება.

სომხეთი არ მალავს თავის პარტნიორობას რუსეთის სახელმწიფოსთან. ეს ქვეყანა შედის "კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში", სადაც წამყვან როლს რუსეთი ასრულებს. რისთვისაა ეს ყოველივე საჭირო? ამით ორივე ქვეყანა სარგებელს ნახულობს. რუსეთი შეღავათიან ფასად აწვდის უახლეს სამხედრო შეიარაღებას სომხეთის არმიას.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1995 წლიდან (განახლებული შეთანხმებით - 2044 წლამდე) სომხეთის ქალაქ გიუმროში განლაგებულია მძლავრი 102-ე რუსული სამხედრო ბაზა. 2017 წლიდან ეს ბაზა და სომხეთის არმიის მე-5 კორპუსი ქმნიან

"გაერთიანებულ საჯარისო დაჯგუფებას", რომელსაც "აგრესიის უშუალო საფრთხის ან ომის დროს" ხელმძღვანელობას გაუწევს რუსი სარდალი.

2015 წლიდან სომხეთი და რუსეთი ქმნიან გაერთიანებულ საჰაერო თავდაცვის სისტემას ანუ ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ ნატოს კოლექტიური თავდაცვის სისტემა სომხეთისთვის ჩანაცვლებულია რუსეთის სამხედრო ძალებით. ამ ყველაფრის ფონზე, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია ნატო-სომხეთის ურთიერთობების პერსპექტივაზე საუბარი, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სომხეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ერთმანეთთან სტაბილური ურთიერთობა გააჩნიათ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ექსპანსიის ერთ ერთი უმთავრესი მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცე გახდა. ეს ქვეყანა ცდილობს აღმოსავლეთით გაფართოებას, ერთიანი ევროპული ბაზარის შექმნას. თავისი ამ ქმედებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობს შემლებისდაგვარად მშვიდობიანად მოაგვაროს ირანთან ურთიერთობა, რადგან ამერიკას აშინებს ამ ქვეყნის ატომურ იარაღთან კავშირის ისტორია. ანუ, აშშ იბრძვის უპირობო გეოპოლიტიკური აღმატებულებისათვის მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეზე ბალტიის ნაპირებიდან კავკასიამდე. ამდენად, მეტ-ნაკლებად გასაგებია თუ რის მიღწევას ცდილობს ნატო კავკასიის რეგიონში, მაგრამ თვითონ აზერბაიჯანს სურს კი ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა? გარდა ამერიკის პოზიციისა, საინტერესოა ასევე ნატო-ს "ახალი მტრის" რუსეთის სახელმწიფოს მდგომარეობა და სტატუსი ამ რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ "ცივი ომის" დასრულების შემდეგ დასავლეთს ბევრ რამეში უპირისპირდება საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც რა თქმა უნდა, ავტორიტარულია და აქვს ამბიცია მსოფლიო ბატონობის. ბრძოლა რუსეთსა და დასავლეთს შორის უკრაინისათვის, მოლდოვისათვის და მთელს სამხრეთ კავკასიისათვის რომ მიმდინარეობს ამას უამრავი ფაქტი ადასტურებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სწორი

მოქმედებებით იმდენად მოახერხა თავისი პოზიციების გამყარება სამხრეთ კავკასიაში, რომ აქ ისეთივე საკვანძო მოთამაშე გახდა, როგორიც რუსეთია. საყურადღებოა ასევე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის, სომხეთის დედაქალაქ, ერევანში ვიზიტისაა გაკეთებული განცხადება, იმასთან დაკავშირებით რომ "რუსეთი ამიერკავკასიიდან არასდროს წავა". დასავლეთი იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმას, რომ რუსეთი კვლავინდებურად ხედავს პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების ზონას და აპირებს გაამყაროს საკუთარი პოზიციები.

ამის პარალელურად, არავინ დაობს იმაზე, რომ აზერბაიჯანისათვის აუცილებელია თავისი უსაფრთხოების გამყარება, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დახმარებით ის ალბათ უფრო დაზარალდება, ვიდრე სარგებელს ნახავს, რადგან აზერბაიჯანის სახელმწიფო პარალელურად თანამშრომლობს რუსეთთან ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების მხრივ. რეალურად აზერბაიჯანის სახელმწიფოსთვის რუსეთი და სომხეთის სახელმწიფოები საფრთხის შემცველია (ყარაბაღის) კონფლიქტიდან გამომდინარე, მაგრამ რუსეთთან მოლაპარაკება აუცილებელია. აზერბაიჯანმა უნდა გადაწყვიტოს რუსეთი იქნება მისი მოკავშირე თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის სახელმწიფოსაც და ჩრდილოატლანტიკურ ალიანს ორივეს სურს კავკასიის რეგიონში ერთპიროვნული მმართველობა, მაგრამ ეს ყოველივე დამოკიდებულია მათ სწორ ნაბიჯებსა და მოქმედებებზე.

იდეამ, რომ აზერბაიჯანი გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, ჯერ კიდევ 1990 - იანი წლებიდან იღებს სათავეს, ხოლო 1994 წელს კი ბაქო უკვე იყო წევრი პროგრამისა "პარტნიორობა მშვიდობისათვის". აზერბაიჯანი, ზედმეტი ხმაურისა და სკანდალების გარეშე თანდათან, განსაზღვრული ნაბიჯებით ცდილობს ნატოში ინტეგრაციას. ნატო პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის სატრასტო

ფონდის პროექტები ხელს უწყობს პარტნიორ ქვეყნებს ჭარბი და მოძველებული იარაღის თუ საომარი აღჭურვილობის სასაწყობო მარაგების უსაფრთხო განადგურების პროცესში. ეს ყოველივე ფინანსდება მოკავშირეებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ. ეს პროექტები გულისხმობს ასევე მჭიდრო თანამშრომლობას სხვა შესაბამის ორგანიზაციბთანაც. აზერბაიჯანში 1.6 მილიონი ევრო იქნა ინვესტირებული სალოღლუს ყოფილ სამხედრო ბაზაზე და ქალაქებში აგსტაფა და პოილუ აუფეთქებელი საბრძოლო მასალების ლიკვიდაციის მიმდინარე პროექტში. აღნიშნული აღჭურვილობა ადგილობრივ მოსახლეობის არაერთი უბედურების მიზეზი გამხდარა.ზემოთაღნიშნული პროექტის გარდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სარგებლის მომტანია როგორც აზერბაიჯანული მხარისათვის, ასევე ალიანსისასთვის. ეს ყოველივე არ მოიცავს მხოლოდ ერთ სფეროს, ამ პროგრამას კიდევ ბევრი განშტოება გააჩნია.

დასკვნა

კავკასიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული პროექტები დიდ როლს ასრულებენ რეგიონში არსებული სახელმწიფოების უსაფრთხოების დაცვაში. ამას მოწმობს არაერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მილსადენებისა და გაზსადენების არსებობა. ამ ენერგეტიკული ფაქტორისა და კიდევ სხვა მახასიათებლების გამო ექცევა კავკასიის რეგიონი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ისეთის, როგორიცაა „გაყინული კონფლიქტები“. რუსეთის ფედერაცია ყველანაირად ცდილობს მის ხელთ არსებული ბერკეტების გააქტიურებას და ქაოსის შეტანას რეგიონში, რათა შეაჩეროს ალიანსის და რეგიონის წევრი სახელმწიფოების მისწრაფებები.

რუსეთის შესაკავებლად კი აუცილებელია ევრო-ატლანტიკური სივრცის გაფართოების გაგრძელება. ნატოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონში მისი პარტნიორი სახელმწიფოების სტაბილურობა და განვითარება.

ნატოსა და რუსეთის ფედერაციის ინტერესები რეგიონისადმი განსხვავებულია. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც არსებობს რეგიონში დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს მსოფლიოს. დაპირისპირების მიზეზები კი შემდეგია: ეროვნული ინტერესები; საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა; რეგიოში სტაბილურობის დარღვევა და სხვა.

ალიანსის მთავარი ამოცანა სტაბილურობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებაა რეგიონში, რომელიც მიმართულია საერთო უსაფრთხოების ინტერესების ჩამოყალიბებაში. ის პროექტები, რომელსაც ნატო ახორციელებს რეგიონში სწორედ ამისკენაა მიმართული. რუსეთი ფედერაცია კი მოქმედებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და არ სურს მისი მეზობელი ქვეყნების კეთილდღეობა. არსებობს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიც განპირობებული იყო იმ ენერგეტიკული პროექტებით, რომელსაც საქართველოს მხარე ახორციელებდა. რასაკვირველია, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და სამხედრო უპირატესობას ნატო განიხილავს, როგორც რეგიონალურ საფრთხეს, ასევე რუსეთის მილიტარიზაცია აღიქმება ევრო-ატლანტიკური სივრცის რისკებად. კავკასიის რეგიონში მიმდინარე არასტაბილური გარემო ზეგავლენას ახდენს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზეც და ზოგადად მსოფლიო მშვიდობაზე.

რაც შეეხება შემაფერხებელ გარემოებებს. რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევამ ნატოს რეგიონული უსაფრთხოების ჩამოყალიბებისკენ უბიძგა. ნატო რეგიონში არსებული ყველა აქტორის მონაწილეობას განიხილავს კოლექტიური უსაფრთხოების ფონზე. რაც შეეხება რუსეთის ინტერესებს რეგიონისადმი ის ძირითადად ორ მიზანს ემსახურება: ნატოს გაფართოების შეჩერება და საკუთარი გავლენის შენარჩუნება. და მეორე ეს არის სამხედრო ძალების განვითარება საკუთარი ძალის დემონსტრირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიტაძე, ნ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბილისი, 2008.

2. აკობია , ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი, 2006.

3. ე. ჰეივუდი. პოლიტიკა. თბ., 2008, გვ. 187

4. კ. კაციტაძე. გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბ., 2001, გვ. 58-64

5. რ. არტი, რ. ჯერვისი. საერთაშორისო პოლიტიკა. თბ., 2011, 567-569

6. მაისაია, ვ. შავი ზღვის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. თბ., 2003.

7. მაღრაძე,გ. მაისაია,ვ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017.

8. ჩიტაძე, ნ. გეოპოლიტიკა.თბილისი: უნივერსალი (2011)

9. ქარუმიძე, ვ. საერთაშორისო ორგანიზაციები. თბილისი: საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ცოდნა (2003)

10. კოგანი, ი. ოთმხრივი ურთიერთობები: რუსეთი/ევროკავშირი/ნატო/ამერიკა-საქართველო თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (2013)

11. კოგან, ი. ნატო-საქართველოს ურთიერთობები: 28-ს მინუს 1. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის

ფონდი (2014)

12. იაშვილი, თ & იაშვილი, ი. რუსეთის აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. ხელისუფლება და საზოგადოება (2008)

13. ვაშაკიძე, რ. ნატოს გეოსტრატეგია 21-ე საუკუნეში: ღია კარის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ. თბილისი (2009)

14. გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. თბილისი: სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.

15. გვენეტაძე, ე. ნატო (NATO) საერთაშორისო ურთიერთობებში. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: ბასიანი (2009)

16. ბურკაძე, ხ & კორეპანოვი, ა. ნატო ღია კარი, თბილისი: გამომცემლობა საარი (2010)

17. ბაგრატიონი, კ. შავი ზღვის უსაფრთხოება - შანსი საქართველოსთვის - საქართველოს რესპუბლიკა, 7-8 (2017).

18. აბაშიძე, ზ., ცინცაძე, ს. & სამუშია, ჯ. საქართველო - ნატო: საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბილისი: ახალი თაობა - ახალი ინიციატივა (2007)

19. აბაშიძე, ზ. ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ. თბილისი (2000).

ინტერნეტ რესურსი:

20. ირაკლი მენაღარიშვილი ,, როგორ შეიქმნა ნატო“.
https://www.gfsis.org/files/my-world/17/2.pdf

21. რევაზ გაჩეჩილაძე სომხეთი და სომხები - უცნობი ნაცნობი
https://www.gfsis.org/files/my-world/20/3.pdf

22. ირაკლი მენაღარიშვილი ,,კვლავ ნატოს შესახებ“
https://www.gfsis.org/files/my-world/24/5.pdf

23. ანი რაზმაძე - ერთპოლუსიანობიდან მრავალპოლარულ მსოფლიო სისტემამდე

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/58210-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94/84/

24. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D

25. კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.

„გაყინული კონფლიქტის“ დეფინიცია.

http://iccn.ge/index.php?article_id=142&clang=0

26. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო https://ghn.ge/news/101726-nato-kavkasiashi-azerbaijanis-mkhridan-shemodis

27. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. მამუკა კომახია, სამხედრო ხარჯების ზრდა და რუსეთთან ურთიერთობა: აზერბაიჯანი სომხეთზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობს https://www.gfsis.org/ge/blog/view/752

28. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი http://gip.ge/ge/%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90/

29. Nato homepage https://www.nato.int/